



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 18 ივნისი

**დისციპლინური საქმე №19/20-1  
მოსამართლე ----- მიმართ**

**დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის თაობაზე**

----- 2020 წლის 20 თებერვლის №19 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე ----- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 28 თებერვლის №165/19-03 წერილით მოსამართლე ----- ეცნობა №19 საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. იმავე წერილით მოხდა საქმის მასალების გამოთხოვა.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

**1.1.** საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე ----- ერთი და იგივე მიზეზით განსხვავებული სარჩელები რამოდენიმეჯერ არ მიიღო წარმოებაში.

მოსამართლემ 29 სექტემბრის განჩინებაში სრულიად უსაფუძვლოდ განმარტა, რომ მხარეებს სასამართლოსთვის უნდა მიემართათ აღიარებითი სარჩელით. ეს საკითხი მისი გადასაწყვეტი არ იყო. მოსამართლეს ასევე არასწორად აქვს მოყვანილი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ვითომდა მის ამ მოსაზრებებს ამყარებს. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ბოლო განჩინებაში კი სახელმწიფო ბაჟის საკითხის მიღმა, მოსამართლე ყველანაირი ახსნა-განმარტების გარეშე მიუთითებდა სასარჩელო მოთხოვნის ბუნდოვანებაზე. ----- მსჯელობა არის არალოგიკური და სარჩელის შინაარსთან შეუსაბამო.

**1.2.** საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე ----- დაარღვია კანონით გათვალისწინებული საპროცესო ვადები. სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად მას 5 დღის ნაცვლად, 42 დღე დასჭირდა. გარდა ამისა, განჩინების მხარისათვის ჩაბარება მოხდა მისი მიღებიდან 9 დღის შემდეგ.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1.** 2019 წლის 07 ნოემბერს ----- წარმომადგენელმა ----- სარჩელით მიმართა ----- რაიონულ სასამართლოს მოპასუხის, ----- მიმართ და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -----.

2019 წლის 12 ნოემბრის განჩინებით სარჩელის ავტორს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მოსამართლის განმარტებით, აღიარებითი სარჩელის მიღების და განხილვის აუცილებელი პირობაა მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა. განსახილველ შემთხვევაში კი გაურკვეველი იყო, რა სამართლებრივი შედეგის მომტანი იქნებოდა სარჩელის ავტორისათვის ხსენებული აქტის ბათილად ცნობა. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

**2.2.** 2019 წლის 16 დეკემბერს ----- წარმომადგენელმა ----- სარჩელით მიმართა ----- რაიონულ სასამართლოს მოპასუხის, ----- მიმართ და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -----.

2019 წლის 17 დეკემბრის განჩინებით სარჩელის ავტორს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მოსამართლის განმარტებით, აღიარებითი სარჩელის მიღების და განხილვის აუცილებელი პირობაა მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა. განსახილველ შემთხვევაში კი გაურკვეველი იყო, რა სამართლებრივი შედეგის მომტანი იქნებოდა სარჩელის ავტორისათვის ხსენებული აქტის ბათილად ცნობა. მოსამართლე აღნიშნავდა, რომ თუკი სარჩელის ავტორის ინტერესი იყო რაიმეს მიკუთვნება, მაშინ სასარჩელო მოთხოვნა უნდა განსაზღვრულიყო მიკუთვნების მოთხოვნით და მარტოოდენ აღიარებითი სარჩელით, ეს შედეგი ვერ მიიღწეოდა. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

**2.3.** 2020 წლის 23 იანვარს ----- , ----- და ----- წარმომადგენელმა ----- სარჩელით მიმართა ----- რაიონულ სასამართლოს მოპასუხის, ----- მიმართ და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა და სადავო უძრავი ქონების მიკუთვნება მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ----- .

2020 წლის 28 იანვრის განჩინებით სარჩელის ავტორს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მოსამართლის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და არ იყო მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. გარდა ამისა, მოსარჩელეებს არ ჰქონდათ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სათანადო ოდენობით (გადახდილი იყო მხოლოდ 100 ლარი). აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

დისციპლინური სამართალწარმოება, ვერ იქნება განხილული როგორც ზემდგომი ინსტანცია და ვერ მოხდება მსჯელობა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. დისციპლინური წარმოების ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური გადაცდომების შესახებ არსებული

სავარაუდო ფაქტების შეფასება და ის ვერ შეცვლის მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიშის შესაბამისად (CommDH(2012) 10, 23.02.2012) „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80).

დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 52-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.“

სსსკ-ის 39-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%, მაგრამ არანაკლებ 100 ლარს.

სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, „სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.“ ამავე კოდექსის 178-ე მუხლში ამომწურავადაა მითითებული ის ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს სარჩელი.

სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში მითითებული პირობების დარღვევით. იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას.“

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლე ---- სამჯერ უთხრა უარი სარჩელის ავტორს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სსსკ-ის შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილი იყო მიეღო აღნიშნული განჩინებები სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და ამდენად, ის მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების შინაარსი სრულადაა დამოუკიდებელი მოსამართლის შენაგან რწმენაზე და მოქმედ კანონმდებლობაზე. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ----- 2020 წლის 20 თებერვლის №19 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე ----- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს №19/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე ----- მიმართ, საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი